საქართველოს მთავრობის განკარგულება

№254 2016 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და ა(ა)იპ - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შორის
გასაფორმებელი „გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“
და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და
ბენეფიციარს შორის გასაფორმებელი „გრანტის გაცემის შესახებ“
ხელშეკრულებების პროექტების მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ა(ა)იპ - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შორის გასაფორმებელი „გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი;

ბ) მოწონებულ იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გრანტის გაცემასთან დაკავშირებით გასაფორმებელი „გრანტის გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებების პროექტები.

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გრანტის გაცემის შემთხვევებზე არ გავრცელდეს „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების 1[1] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**